საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
LIGAMUS

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები

ეძღვნება კიაზო (კონსტანტინე) ფიცხელაურის 80 წლის იუბილეს

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY
თბილისი – 2012 წელი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები

ეძღვნება კიაზო (კონსტანტინე) ფიცხელაურის 80 წლის იუბილეს

კრებულში ქვეყნდება ცნობილი კავკასიოლოგების მრავალპროფილიანი გამოკვლევები. შესაბამისად, იგი საინტერესო იქნება როგორც ისტორიული, ისე არქეოლოგიური და ინტერდისციპლინარული მიმართულებების მკვლევართათვის

რედაქტორი	პროფესორი გურამ ყიფიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ლელა მაჭარაშვილი

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-106-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების მისალმება.....7

გურამ ლორთქიფანიძე

თვალსაჩინო ქართველი არქეოლოგის კიაზო ფიცხელაურის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თაობაზე 11

ნანა ხაზარაძე
N. Khazaradze

მხედრის გამოსახულება ციხიაგორადან 13
The Impression of a Rider Tsikhiagora

ზურაბ კიკნაძე
Z.Kiknadze

ნარამსინი და ალექსანდრე.....19
Naram-Sin and Alexander

ოთარ ჯაფარიძე
O. Japaridze

იორ-ალაზნის ორმდინარეთი გვიანბრინჯაოს ხანაში.....29
Iori Alazani Culture in the Late Bronze Age

ლადო მირიანაშვილი
L. Mirianashvili

ღირსი დოდო გარეჯელის წმიდა ნაწილების გადასვენების ორი ისტორიული აღწერა 35
Written Sources about Translation of the Relics of St. Dodo Garejeli

ნინო შანშიაშვილი, გიორგი ნარიმანიშვილი
N. Shanshashvili, G. Narimanishvili

ებლას სამეფო არქივში მოხსენიებული ერთი ტოპონიმის იდენტიფიკაციისათვის 52
Identification of One Toponym Mentioned in Ebla Royal Archive

კოტე ფიცხელაური
K. (Kote) Pitskhelauri

სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში – არქეოლოგიურ კულტურათა კონტაქტების დინამიკა.....64
South Caucasus, Northern Black Sea Coast and Europe during Eneolith Bronze Era – Contact Dynamics of Archaeological Cultures

Arsen Bobokhyan

Vom Kaukasus bis Dilmun und Magan: Zur Frage der Fernkontakte des südkaukasischen Kulturgebiets an der Grenze vom 3. zum 2. Jt. v. Chr. 89

კ. ფიცხელაური, ზ. ჭელიძე, რ. ჭელიძე
K. Pitskhelauri, Z. Chelidze, R. Chelidze

კახეთის რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლის არქეომაგნიტური გამოკვლევის შედეგები 116
Results of Archeomagnitic Investigations of some Archaeological Sites in Kakheti

გოდერძი ნარიმანიშვილი
Goderdzi Narimanishvili
თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები 128
Trialeti Settlements of Bronze AgeSynopsis

ლერი ჯიბლაძე, რევაზ პაპუაშვილი
L. Jibladze, R. Papuashvili
შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი-ანაკლია II 194
ettlement of the Middle Bronze Age – Anaklia II

ა. ორჯონიკიძე, ლ. ჯიბლაძე
A. Orjonikidze, L. Jibladze
კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა სინქრონიზაციისათვის (საქართველო) 205
For Synchronization of Caucasian Early Bronze Age Cultures (Georgia)

Paata Bukhrashvil
პ. ბუხრაშვილი
„სახლი" – „ხატი" საქართველოში ძველად 210
„HOUSE" AND „SHRINE" IN ANCIENT GEORGIA

თემურ თოდუა
T. Todua
კოლხები ფლავიუს არიანეს არმიაში 220
Colchis in Flavius Arrian's Army

გურამ ლორთქიფანიძე, გოჩა გერაძე
G. Lortkipanidze, G. Geradze
„კოლხურები" ცაიშის ქვევრსამარხებიდან 225
"Colchians" from Tsaishi Pitch Burials

თემურ თოდუა
T. Todua
სამარხის სტელის ფრაგმენტი ბიჭვინთიდან 233
The fragment of the gravestone of the tomb from Bichvinta

შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, მერაბ ხალვაში
Sh. Mamuladze, E. Kakhidze, M. Khalvashi
გონიო-აფსაროსი ადრებიზანტიურ ხანაში 237
Apsarus in the Byzantine Times

ა. კახიძე, შ. მამულაძე
A. Kakhidze, Sh. Mamuladze
ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა 254
The Chorokhi Basin – the Hearth of the Ancient Colchian culture

ნინო ახვლედიანი
N. Akhvlediani
სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის პრობლემების შესწავლის საკითხისათვის 275
For the study of Late-Bronze Early-Iron age problems in South Coucasus

ნოდარ ბახტაძე
N. Bakhtadze
ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს დათარიღებისათვის 289
Memorial Chapel of the Nekresi Monastery

ებლას სამეფო არქივში მოხსენიებული ერთი ტოპონიმის იდენტიფიკაციისათვის

XX საუკუნის მეორე ნახევარში იტალიის არქეოლოგიურმა მისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პაოლო მატიე, ჩრდილოეთ სირიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენა გააკეთა. ქ. ალეპოს სამხრეთით 55 კმ-ის დაცილებით მდებარე ტელ-მარდიხის ბორცვზე გაითხარა ნაქალაქარი, რომელიც უძველეს ქალაქ ებლასთან იქნა გაიგივებული. ეს ქალაქი მოხსენიებულია აქადურ და შუმერულ წყაროებში, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა უცნობი იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები მიუთითებდა, რომ აღმოჩნდა „ახალი ისტორია, ახალი ენა და ახალი კულტურა" (Маттиэ 1985: 13). 1974-1975 წლებში, მეფის სასახლის ტერიტორიაზე, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 2250 წელს დაანგრია სარგონ აქადელმა, აღმოჩნდა ადმინისტრაციული კომპლექსი, სადაც სახელმწიფო არქივი ინახებოდა. არქივში 17 050 თიხის ფირფიტა და ფრაგმენტი იყო დაცული, რომლებიც ეკონომიკურ, იურიდიულ, ადმინისტრაციულ, ლიტერატურულ და მითოლოგიურ ტექსტებს შეიცავდა. ტექსტებში მოცემული ინფორმაცია ეხება შემოსავლების ფინანსურ სტრუქტურას, ქსოვილებისა და ლითონის ნაწარმის განაწილებასა და ვაჭრობის ორგანიზაციას, სასახლეში ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვის სისტემას, მალემსრბოლებზე საჭმელისა და სასმელის განაწილებას, საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებს, სამეფო სასამართლო ინსტანციებს და სხვა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ საქმიანობას (Маттиэ 1985: 13-14). ებლას სამეფო არქივის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სირიის, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიის, ისტორიისა და ენათმეცნიერებისათვის.

ებლაში აღმოჩენილ დოკუმენტებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ სამხრეთ კავკასიის ისტორიისათვისაც. ეს განპირობებულია იმით, რომ სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა სირია-პალესტინაშიც არის გავრცელებული, სადაც ეს კულტურა ხირბეთ-კერაქის კულტურის სახელითაა ცნობილი. ამ კულტურის მნიშვნელოვანი ნაშთები დაფიქსირებულია როგორც ტელ-მარდიხზე (ებლა), ასევე ორონტის დაბლობზე – ჰამაში და ჩრდილოეთ სირიაში გათხრილ ჰალავას, მუმბაქათის, ჰაბუბა-ქაბირას, ტელ-ხუერას, ტელ-ფარფარას ნამოსახლარებზე (Kelly-Buccellati 1990: 123; Ортманн 1985: 63-64). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასიური შავპრიალა კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიგრაციის შედეგად გავრცელდა ანატოლიასა და ლევანტში (ჯაფარიძე 2006: 159).

როგორი იყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური განვითარება და რა უნდა ყოფილიყო მიგრაციის მიზეზები? ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე "საგრძნობლად მატულობს მოსახლეობის რიცხვი, რაც სოფლის მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ, ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა. ბრინჯაოს ხანის არცერთ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასია ისე ინტენსიურად დასახლებული არ ყოფილა, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის დროს" (ჯაფარიძე 1976: 288).

კავკასიის ნამოსახლარებზე ნაპოვნი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღი მიუთითებს, რომ მტკვარ-არაქსელთა მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ამაზე მიუთითებს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ირმის რქისაგან დამზადებული სახვნელი იარაღი (ქვაცხელები) და ნამგლის მრავალრიცხოვანი ჩასართები (მაგ. მინგეჩაურის ნამოსახლარზე 370 ცალი აღმოჩნდა, ხიზანაანთ გორაზე აღმოჩენილი ნამგლის ჩასართებიდან კი ათეულობით ნამგალი დამზადდებოდა (Кушнарева, Чубинишвили 1970: 106), ხელსაფქვავები, მარცვლეულის

შესანახი ჭურჭლები და თვით მარცვლეულის (ხორბლის, ქერის, ფეტვის) ნიმუშები (Кушнарева, Чубинишвили 1970: 107-110; Лисицына, Прищепенко 1977: 65-69). ცნობილია ბრინჯაოს და სპილენძის ნამგლების (ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, გარნი, ქიულ-თეფე) აღმოჩენის ფაქტებიც (კიკვიძე 1976: 54; Кушнарева, Чубинишвили 1970: 126). მტკვარ-არაქსელები მევენახეობასაც (Лисицына, Прищепенко 1977: 15,25) მისდევდნენ. კვირისტავების დიდი რაოდენობა და თიხის ჭურჭლების ზედაპირზე დაფიქსირებული ქსოვილის ანაბეჭდები კი ფეიქრობის განვითარებაზე მეტყველებს. მეურნეობაში დიდ როლს მესაქონლეობაც ასრულებდა. ნამოსახლარებზე სადღვებლების და საწურების აღმოჩენა მესაქონლეობის მნიშვნელობაზე და რძის პროდუქციის ფართო წარმოებაზე მიუთითებს (Лордкипанидзе 1989: 101).

მიუხედავად იმისა, რომ მრავალფენიანი ნამოსახლარები მრავლადაა შიდა ქართლის ვაკეზე – ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, კვერნაქი, გუდაბერტყა, რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენების შემცველი ძეგლები მაინც ცოტაა (კიკვიძე 1976: 45). დ. მუსხელიშვილის და გ. ცქიტიშვილის აზრით "შესაძლებელია ეს მოვლენა დაკავშირებულია მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან, კერძოდ ბრინჯაოს მეტალურგიის წინა პლანზე წამოწევასთან" (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 190). ჩ. ბერნის აზრითაც, ეს ტომები მეტალურგიის განვითარების გამო ენეოდნენ ნახევრადმობილური ცხოვრების წესს (Burney 1993: 315). როგორც ჩანს, ძირითადი მოსახლეობა მაინც დამჯდარ მინათმოქმედებას ეწეოდა, ამას მოწმობს მრავალფენიანი ნამოსახლარები შიდა ქართლში, თრიალეთში (ბეშთაშენი), აზერბაიჯანში (ნახჭევანის ქიულ-თეფე), დაღესტანში (ველიკენტი). თუმცა არსებობდა გარკვეული ჯგუფები (თემები), რომლებიც საბადოების ძიების გამო გადაადგილდებოდნენ, რადგან მათ ძირითად საქმიანობას მადნის მოპოვება წარმოადგენდა. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან მეტალურგია უკვე ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგად არის ჩამოყალიბებული. ხელოსანთა ნაწილი ლითონის დამუშავებით არის დასაქმებული, ნაწილი კი – მადნის მოპოვებით. სპილენძის საბადოების სიახლოვეს მდებარე ძეგლებზე (ბრდაძორი, ალავერდი, ლენინაკანი, სიმონიანთ ხევი, დმანისი) მრავლადაა აღმოჩენილი კომბინირებული იარაღი – ცულ-წერაქვა, რომელიც შესაძლოა მადნის მოსაპოვებლად იხმარებოდა (Кушнарева, Чубинишвили 1970: 113-114). მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების ტოპოგრაფიას რომ გადავავლოთ თვალი, ადვილი შესამჩნევია მათი კონცენტრაცია სპილენძით მდიდარ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სომხეთის ზეგანი, ერგანი-მადენი). იშვიათია მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლი, სადაც ლითონი და ლითონის წარმოება დამოწმებული არ იყოს. "შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კულტურა მეტალურგიის ბაზაზეა განვითარებული" (კიკვიძე 1976: 75). ნამოსახლარებზე მრავლადაა აღმოჩენილი მეტალურგიასთან დაკავშირებული ნივთები: ყალიბები (ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, გარნი, ბაბადერვიში II, ქიულ-თეფე, გეოი-თეფე), ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული ტიგელები (ხიზანაანთ გორა, გარნი, ბაბადერვიში II), ლითონის დამუშავების პროცესში დარჩენილი შლაკი (ხიზანაანთ გორა, გარნი) (Кушнарева, Чубинишвили 1970: 114). მეტალურგიული წარმოების ნაშთების დადასტურება ისეთ ძეგლებზე, რომლებიც საბადოებიდან მოშორებით მდებარეობენ, მოწმობს, რომ სპეციალისტი მელითონეები მუშაობდნენ სამთამადნო რეგიონებიდან მოშორებით (ლითონსადნობი ღუმელი აღმოჩნდა ამირანის გორაზე და ბაბადერვიშზე) (Кушнарева, Чубинишвили 1970: 114).

მეურნეობაში და საერთოდ ყოფაში ლითონის იარაღის ფართოდ დანერგვამ უთუოდ აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღმა კი, საგრძნობლად გაზარდა მოსახლეობის საბრძოლო პოტენციალი, რამაც ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ფართოდ განფენას (ჯაფარიძე 1976: 290). მტკვარ-არაქსის კულტურა ფართოდაა გავრცელებული კავკასიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ურმიის ტბისპირეთამდე აღწევს. იგი ასევე გავრცელებულია აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც ადრეტრანსკავკასიური კულტურის სახელითაა ცნობილი, ხირბეთ-კერაქის კულტურის სახით კი სირია-პალესტინაში ჩნდება.

რა მიზეზებმა განაპირობა ასე ფართოდ ამ კულტურის გავრცელება? როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის პირველსამშობლოდან, ცენტრალური სამხრეთ კავკასიიდან, ყველა მიმართულებით განვრცობა ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორებით იყო განპირობებული. სა-

ზოგადოების ეკონომიკური ინტერესები ახალი ადგილების ათვისებას ითხოვდა. უპირველეს მიზანს საბადოების ხელში ჩაგდება, ნანარმის გატანის დაცვა და გასაღების ბაზრის კონტროლი წარმოადგენდა. ეს ყველაფერი სატრანზიტო გზების კონტროლსაც მოითხოვდა.

მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით გავრცელების საწყის ეტაპზე, ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, შავპრიალა კერამიკა თანდათან ჩნდება აღმოსავლეთ ანატოლიაში და ერგანი-მადენის სპილენძის საბადოებამდე აღწევს. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში კი მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი ტალღა სამხრეთ პალესტინამდე, შესაძლოა, ვადი-არაბას სპილენძის საბადოებამდე ვრცელდება. მთელ ამ ტერიტორიაზე უეცრად ჩნდება ახალი, მოსული კულტურის ელემენტები, რაც ხალხთა მნიშვნელოვანი მასის შემოსვლით უნდა აიხსნას (Schaeffer 1961: 230-231). მოსახლეობის დიდი მასის აყრას და სამხრეთისაკენ წასვლას, რა თქმა უნდა, ძლიერი ბიძგი სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მტკვარ-არაქსელთა საზოგადოების ნაწილი ადგილზე დარჩა და ძველებურად განაგრძო ცხოვრება.

მტკვარ-არაქსელთა სხვადასხვა მიმართულებით განსახლებაზე ნათლად მიუთითებს არქეოლოგიური მონაცები.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიგრაცია აღმოსავლეთ ანატოლიაში. ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მტკვარ-არაქსული, ანუ ადრეტრანსკავკასიური კულტურის კერამიკა მცირე რაოდენობით ჩნდება ევფრატის ზემო წელზე (Burney 1993: 313). ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან კი მტკვარ-არაქსის კულტურა "საკმაოდ მძლავრად გამოჩნდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში, სადაც იგი ცნობილია ხირბეთ-კერაქის კულტურის სახელით" (ჯაფარიძე 2006: 159).

ათასწლეულების მანძილზე ხალხთა მასები ცივილიზაციის დიდი ცენტრებისკენ მიიწევდნენ, ვინაიდან მახლობელი აღმოსავლეთი ცივილიზებული სამყაროს ცენტრად ითვლებოდა. ყველა იქით წასულს ეს ტერიტორია ოცნებების ახდენისა და ამბიციების რეალიზაციის მხარედ ესახებოდა. თავგადასავლების ძებნა ერთეულთა წასვლის მიზეზი იყო, მაგრამ რა ამოძრავებდა ხალხთა მრავალრიცხოვან მასებს, რომლებიც მშობლიური ადგილებიდან იყრებოდნენ და შორეული, შეუცნობადი სამყაროსკენ მიიწევდნენ? ხალხთა დიდი გადასახლებები უნივერსალური მოვლენაა, რომელსაც მსოფლიო ისტორიის ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე ჰქონდა ადგილი. ხალხთა მასების დიდი გადაადგილებების ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური ფაქტორი უნდა ყოფილიყო. როგორც არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხის პრიორიტეტულ საქმიანობას მელითონეობა წარმოადგენდა. ადრებრინჯაოს ხანაში მთავარი გაცვლის ობიექტი ლითონი იყო. ის ვინც მოახდენდა ლითონით ვაჭრობის მონოპოლიზაციას და სამიმოსვლო გზების კონტროლს განახორციელებდა, გასაღების ბაზარსაც დაიქვემდებარებდა. გარდა ამისა, მზა პროდუქციის გაყიდვას, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი მოგება მოაქვს ვიდრე დაუმუშავებელი ნედლეულის გატანას. ჯ. ტოინბის აზრით "იარაღი ტექნიკის სხვა სიახლეებზე უფრო ადრე პოულობს საბაზრო მოთხოვნილებას. ბარბაროსთა[1] ხელში მოხვედრისთანავე, ადგილობრივი ოსტატების მიერ სწრაფად იწყება მისი ასლების გაკეთება, თანაც გასაოცარი სიზუსტითა და დახელოვნებით" (Тойнби 2003: 28). "... როდესაც ცივილიზაციის ცენტრების მოშორებით მცხოვრები ხალხები მათთვის უცხო კულტურის ელემენტებს სესხულობენ, მათ თავისებურად ამუშავებენ და თავიანთ საჭიროებებს უთავსებენ. ეს სახეცვლილებები ნაწილობრივ განპირობებულია ცივილიზაციის კულტურული გამოსხივებისადმი მტრული განწყობილებით, რაც არასასურველს ხდის უცხოური ნასესხობების ღია აღიარებას. მიუხედავად ამისა უარყოფითი მოტივი საკმაოდ კარგად უთავსდება დადებით სტიმულსა და სურვილს, ნასესხობები შეუთავსონ საკუთარ საჭიროებებს" (Тойнби 2003: 26-27). მაქს ვებერის სიტყვებით, საბოლოო მოგებიდან გამომდინარე, ძვირადღირებული საქონლისთვის ბრძოლაში საქონლის არაპირველმესაკუთრე გამოირიცხება. ამ ბრძოლაში უპირატესობა, რა თქმა უნდა, პირველმესაკუთრის მხარეზეა და სწორედ ის ადგენს მონოპოლიას ამ საქონლის შეძენაზე (Вебер 2000: 257).

საქონელბრუნვის სრული მონოპოლიზაციისთვის, მწარმოებელი-ვაჭარი იძულებული იყო ახლომდებარე მდიდარ საბადოებსაც

1 ბრიტანელი მეცნიერი ჯ. ტოინბი სიტყვა ბარბაროსს ხმარობს არა ტრადიციული მნიშნელობით, არამედ ცივილიზაციის ცენტრების მოშორებით მცხოვრები ხალხების აღსანიშნავად.

დაპატრონებოდა. რაც ეფექტური სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო.

ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში მტკვარ-არაქსული კერამიკა მცირე რაოდენობით ჩნდება ევფრატის ზემო წელზე, ელიაზიგ-მალათიის რეგიონში, რომელიც ამ პერიოდში განიცდიდა მძლავრ ეკონომიკურ აყვავებას. ელიაზიგ-მალათიის ეკონომიკური აყვავება დაკავშირებული იყო ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში ურუქელი ვაჭრების შემოღწევით ამ რეგიონში. ამას ადასტურებს კორუჯუთეფე B-ს მდიდრული სამარხები, რომელთა ინვენტარი და დასაკრძალავი აკლდამების არქიტექტურა ახლო პარალელებს პოულობს თეფე გავრა XI-IX ფენებთან. ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულს მალათიის რეგიონი წარმოადგენდა ეკონომიკურად განვითარებულ და კარგად ორგანიზებულ რეგიონალურ ცენტრს, რომელსაც, შესაძლოა, მტკვარ-არაქსული ტომებიც ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან აწვდიდნენ ბრინჯაოს და შესაძლოა ოქროსაც. არსლანთეფეს მოსახლეობის სიმდიდრის წყარო ლითონით ვაჭრობა იყო. ამას მოწმობს III შენობის ერთ-ერთი ოთახში (A 113) აღმოჩენილი იარაღის საწყობი (Burney 1993: 314-315). არსლანთეფე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირია-მესოპოტამიასთან ურთიერთობაში, რადგან სხვადასხვა კულტურულ არეალებს შორის არსებულ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობდა. ჩვენი აზრით, ურუქელი ვაჭრების და მტკვარ-არაქსელი ადრეული მელითონეების საკონტაქტო ზონა სწორედ ამ რეგიონში იყო.

თუ მტკვარ-არაქსული კერამიკა ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მცირე რაოდენობით ჩნდება ელიაზიგ-მალათიის რეგიონში, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე უკვე მკვიდრდება ამ რეგიონში. ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევარში მტკვარ-არაქსული კერამიკა (მას „ქარაზულ" კერამიკასაც უწოდებენ) ქებანის რეგიონში სირიულ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიური კერამიკის 35% შეადგენდა, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე 60%, ხოლო ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში 80% – მდე გაიზარდა (Abay 1997: 18-19).

მტკვარ-არაქსელთა შემოსვლამ არსლანთეფეს განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. „კავკასიელები" ვერ ჩაერთნენ ადგილობრივ ეკონომიკურ სისტემაში, რამაც მალათიის რეგიონში ხანმოკლე პერიოდით ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია (Frangipane 2003: 32-34). როგორც ჩანს, ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, ბრინჯაოს ნაწარმის გასაცვლელად, მალათიის რეგიონში მშვიდობიანად მოსული მტკვარ-არაქსელები, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას, რასაც არსლანთეფეს დანგრევა და იქ არსებული ეკონომიკური წყობის შეცვლა მოჰყვა.

ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს ურუქის პერიოდის მესოპოტამიასთან კონტაქტის შედეგად აღმოსავლეთ ანატოლიაში საფუძველი ჩაეყარა ცენტრალიზებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. არსლანთეფეს სიმდიდრე და სასახლის ტიპის მონუმენტური შენობები ფრანჯიპანეს ავარაუდებინებს ადრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციული სისტემის არსებობას (Frangipane 1997: 45). ამდენად, ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოსათვის მალათიის რეგიონი წარმოადგენდა კარგად ორგანიზებულ რეგიონალურ ცენტრს, რომელსაც შესაძლოა არსლანთეფეს მოსახლეობა აკონტროლებდა (Frangipane 1997: 48).

მესოპოტამიური და ტრანსკავკასიური (მტკვარ-არაქსული) კულტურების ელემენტების შედარება მათ შორის არსებულ განსხვავებას ნათლად წარმოაჩენს. ამ კულტურების არქეოლოგიური ძეგლები ორი განსხვავებული სამყაროს არსებობაზეც მიუთითებს. ორი სამყაროს ურთიერთშეჯახების უნივერსალური მოდელი მოჰყავს ცნობილ ინგლისელ ისტორიკოსს ჯონ ტოინბის. იგი აღნიშნავს – „... ისევე როგორც მდინარის სათავეებიდან წამოსული წყალი ჯებირს აწვება, ასევე ცივილიზაციის ცენტრებიდან მოშორებით მცხოვრები ხალხები, მაღალგანვითარებული სამყაროს საზღვრებს აწყდებიან". ჯ. ტოინბის თეორიის მიხედვით, ორივე შემთხვევაში საჭირო ხდება დაგროვილი ენერგიის განეიტრალება, ანუ წყლის ეტაპობრივად შემოშვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცივილიზაციის ცენტრებიდან მოშორებით მცხოვრებმა ხალხებმა ნელ-ნელა დაიწყეს ცივილიზებულ სამყაროში შეღწევა, რაც „პირველ რიგში ხდება სამხედრო ტყვეების, მძევლების, ვაჭრებისა და ბოლოს დაპყრობების ხარჯზე" (Тойнби 2003: 25). ამა თუ იმ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ასახსნელად შესაძლებელია მოდელის სახით გამოვიყენოთ კარგად ცნობილი მოვლენების მამოძრავებელი მექანიზმები. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ახ.წ. XI ს ევროპაში

შექმნილი სიტუაცია. მძიმე სოციალურმა პირობებმა ევროპელთა დიდი ნაწილი აიძულა გამოსავალი აღმოსავლურ ლაშქრობებში ეძებნა. ცნობილი არაბი მეცნიერი, ჯვაროსნული ომების სპეციალისტი, მუფიდ აზ-ზაიდი ჯვაროსნული ლაშქრობების გამომწვევ მიზეზებზე წერს, რომ პირველ რიგში ეს ლაშქრობები სოციალურმა ფაქტორმა განაპირობა და „აიძულა ევროპელები ეძებნათ ახალი მიწები და რესურსები ევროპის გარეთ" (az-Zaidi 2004. გვ. 37-38).

ამდენად, დგება საკითხი თუ რა როლი ითამაშეს მტკვარ-არაქსელებმა – აღმოსავლეთ ანატოლიაში. ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი საუკუნეებიდან ადრეტრანსკავკასიური კულტურის კერამიკა ელიაზიგ-მალათიის რეგიონში ფართოდ ვრცელდება და ევფრატის აუზში მკვიდრდება (Burney 1993: 313). ახალმოსულთა ოკუპაციამ გამოიწვია მდიდარი და განვითარებული არსლანთეფეს დაცემა. მანამდე, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში, მალათიის განვითარება და სიმდიდრე ამ რეგიონში მესოპოტამიელი ვაჭრების შემოღწევასთან იყო დაკავშირებული. უცხოელების (გვიანი ურუქის პერიოდის მესოპოტამიელი ვაჭრების) გამოჩენამ, რომლებსაც სურდათ შეესყიდათ ლითონი და სხვა ნედლეული, აღმოსავლეთ ანატოლიაში საფუძველი ჩაუყარა იმ მოვლენას, რომელსაც ადრე ბრინჯაოს ეპოქა ეწოდება (Меллаарт 1985: 23).

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში არსლანთეფე VI A ფენის მოსახლეობა სამხრეთთან ძირითადად ლითონის ნაწარმით ვაჭრობს. ამას მოწმობს III შენობის A 113 აღმოჩენილი იარაღი – სატევრები და შუბისპირები რომლებიც, როგორც ჩანს, ადგილობრივი წარმოებისაა. ამ იარაღს, რომელიც დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული, პარალელები შუმერულ მასალაში არ გააჩნია. მოღუნულტარიანი შუბისპირის მსგავსი იარაღი კი მხოლოდ გვიან პერიოდში ჩნდება ურში (Burney 1993: 314-315). ერგანის სპილენძის საბადოები, რომლებიც არსლანთეფესთან მდებარეობს, დარიშხანის შემცველია. დარიშხანიანი ბრინჯაოს დამზადება ანატოლიისათვისაც არის დამახასიათებელი. (Burney 1993: 314-315).

არსლანთეფე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირია-მესოპოტამიასთან ურთიერთობაში, რადგან სხვადასხვა კულტურულ არეალებს შორის არსებულ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობდა. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში არსლანთეფეში რთული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის ამსახველია 1996 წელს აღმოჩენილი ე.წ. „სამეფო" სამარხი. ქვის ფილებით ნაგებ, დიდი ზომის სამარხ კამერაში ერთი, ძირითადი მიცვალებულია დაკრძალული. სამარხში მის გარდა ოთხი ახალგაზრდა ადამიანის ჩონჩხი ესვენა. ორი მათგანი, ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი, ერთმანეთის პირისპირ, გვერდითა კედლების თავზე, ქვის ფილებზე იყო დასვენებული. 13 და 15 წლის ახალგაზრდები, კი ძირითადი მიცვალებულის ფეხებთან იყვნენ დაკრძალულნი. მიცვალებულების ძვლების გამოკვლევამ უჩვენა, რომ მათ მიღებული ჰქონიათ მრავალი ტრამვა და მოტეხილობა, რაც გამთხრელებს ავარაუდებინებს, რომ ეს ტრამვები მიღებული ჰქონდათ საომარი მოქმედებების დროს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „მეფის" ფეხებთან დასვენებული ორი ახალგაზრდა მსხვერპლად იყვნენ შეწირულები, რადგან მათ არანაირი სამკაული არ გააჩნდათ. ქვის ფილებზე დასვენებულებს კი სპილენძის საკინძები, ხვიები და ვერცხლის და სპილენძის შენადნობისგან დამზადებული დიადემები ეკეთათ. ეს ნივთები, მ. ფრანჯიპანეს აზრით, მათდამი ღრმა პატივისცემის გამომხატველი იყო, რაც შესაძლოა აიხსნას მიცვალებულების დიდებული წარმომავლობით და ერთი ოჯახის კუთვნილებით (Frangipane 2003: 33-34). ძირითად მიცვალებულს, „მეფეს", ჩატანებული ჰქონდა დიდი რაოდენობით ლითონის იარაღი, სამკაული და კერამიკა. მთის ბროლის, ოქროს და ვერცხლისგან დამზადებული მძივები ისე მრავლად და იმგვარად იყო განლაგებული, რომ შესაძლოა ტანსაცმლის და სუდარის მოკაზმულობას წარმოადგენდნენ. ლითონის ინვენტარი (შუბისპირები, სატევრები, მახვილები, ცულები, სკალპელები, ჭურჭელი, ხვიები, დიადემა, სარტყლები, ბეჭდები და სამაჯურები) დამზადებულია სპილენძის, დარიშხანიანი ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროსა და ისეთი არატიპიური შენადნობისაგან, როგორიცაა ვერცხლი და სპილენძი. ლითონის იარაღი მიცვალებულის ზურგს უკან იყო განთავსებული. ფეხებთან ელაგა კერამიკა, რომელთა ნაწილი ძველი, გვიანხალკოლითური პერიოდის, ადგილობრივი ნაწარმი იყო. შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლები კი ახალმოსულებს ეკუთვნოდათ. აღნიშნულია, რომ შუბისპირები, საკინძები, დიადემები ახალი ტიპისაა და სამხრეთ კავკასიასთან მჭიდრო კავშირზე

მიუთითებენ. სამარხი ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით (3000-2900 წწ) თარიღდება და ასახავს იმ დიდ ცვლილებებს, რომელიც სამხრეთ კავკასიიდან მოსული ხალხის შემოსვლას მოჰყვა. „მეფის" სამარხის ინვენტარი და დაკრძალვის რიტუალი მიუთითებს, რომ იგი უცხოელია, მაგრამ ამავე დროს ძველი ელიტის მემკვიდრეცაა (Frangipane 2003: 33-34). ქვაცხელების და არსლანთეფეს სამარხებში აღმოჩენილი დიადემების მსგავსება ეჭვს არ იწვევს. ძველ აღმოსავლეთში დიადემა უმაღლესი წოდების ინსიგნია იყო (ლ. ვულის მიერ ურის სამეფო სამარხებში აღმოჩენილი იყო დიადემები (Вулли 1961: 67-68). ოქროს დიადემები ალაჯა-ჰუიუქის სამეფო სამარხებშიც იყო აღმოჩენილი. (Koşay 1951: 158, 169)). დიადემები მოწმობენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოების გარკვეულ ნაწილს „მეფობის" პრეტენზია ჰქონდა, თუმცა ეს საზოგადოება „ქალაქური ცივილიზაციის" დონემდე მაინც ვერ ამაღლდა. ახალმოსულების იდეოლოგიაში უპირატესობა სიმდიდრის და ომის პრეროგატივას ენიჭება. „ბარბაროსებს, როგორც წესი, აინტერესებდათ მხოლოდ ორი სახის საქონელი: ფუფუნების საგნები თავიანთი ბელადებისა და მათი ახლობლებისთვის და იარაღი. ... ომი და ვაჭრობა _ ეს არის ორი მთავარი არხი, რომლითაც ხორციელდება ურთიერთობა დაშლის პროცესში მყოფ ცივილიზაციასა და მის საგარეო პროლეტარიატს შორის" (Тойнби 2003: 25-26).

როგორც ჩანს, არსლანთეფე VI-B-1 პერიოდში მოსულმა ადრეტრანსკავკასიური კულტურის მატარებელმა ხალხმა ლითონით ვაჭრობის მონოპოლიზება და გამანაწილებელი პუნქტების რეორიენტაცია მოახდინა. ისინი აკონტროლებდნენ ბუნებრივ რესურსებსა და სავაჭრო გზებს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ლითონის საბადოებისა და ლითონის ტრანსპორტირების ტრადიციული სავაჭრო გზის ჩათვლით (Kelly-Buccellati 1990: 122). ამგვარად, ახალმოსულმა მტკვარ-არაქსელებმა შეძლეს აღმოსავლეთ ანატოლიის ბაზრის მონოპოლიზირება. ამის გარდა, არსლანთეფეს ეკონომიკა ალბათ სამხედრო კონფლიქტმაც დაასუსტა. მოთარეშე ლაშქრებთან განუწყვეტელმა შეტაკებებმა მათი ხაზინა ალბათ სულ გამოფიტა. „... მეორე ფაქტორს, რომელიც აჩქარებს ცივილიზაციის დაშლას, აგრესიულ, „ბარბაროსულ" საზოგადოებასთან შერკინება წარმოადგენს, ომის გავლენა მის რთულ ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. მაშინ როდესაც ბარბაროსულ საზოგადოებას ძალუძს, პროფესიონალურადაც და ორგანიზებულადაც, მთლიანად გადაერთოს ომზე, ცივილიზებიული საზოგადოების ენერგია გაფანტულია შიდასახელმწიფოებრივი საქმიანობის რთულ სპექტრზე. შეიარაღებული ძალების ზრდა იწვევს გადასახადების ზრდას და გამომდინარე აქედან სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების დონის დაცემას". „თუ თავდაცვაში მყოფი ცივილიზაციის მოქალაქეთათვის სასაზღვრო ომი-ნიშნავს, ... ზედმეტ ფინანსურ და ფსიქოლოგიურ ტვირთს, ბარბაროსთათვის პირიქით, ომი ტვირთი კი არა, გამდიდრების ხელსაყრელი შესაძლებლობაა" (Тойнби 2003: 29-31).

მტკვარ-არქსელთა შემოსვლამ და სირია-მესოპოტამიასთან ვაჭრობის შეწყვეტამ არსლანთეფეს განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. მ. ფრანჯიპანეს გამოთქმით „კავკასიელმა ოკუპანტებმა" თავიანთი ქოხები აღმართეს დანგრეული სასახლეების ადგილას. ისინი ვერ ჩაერთნენ ადგილობრივ ეკონომიკაში და ხელი შეუწყეს წინა პერიოდის მესოპოტამიური ტიპის ეკონომიკური სისტემის მოშლას (Frangipane 2003: 32-34), რამაც მალათიის რეგიონში ხანმოკლე პერიოდით ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

მტკვარ-არაქსელები ლევანტში. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში მტკვარ-არაქსელთა შავპრიალა კერამიკა ჩნდება ამუქის ველზე და ლევანტში. რას-შამრა (უგარითი) III A ფენაში ადგილობრივ კერამიკასთან ერთად ჩნდება ხელით ნაძერწი, შავპრიალა და წითლად ანგობირებული პრიმიტიული ჭურჭელი, რომელიც პალესტინაში „ხირბეთ-კერაქული" კერამიკის სახელითაა ცნობილი (Schaeffer 1961: 229-230). იგი სრულიად განსხვავდება ადგილობრივი პროდუქციისაგან და სპორადულად ჩნდება ჰამაში და მის სამხრეთით, პალესტინაში – ბეთ-შანში, აფულაში, იერიქონში, მეგიდოში, გეზერში და აი-ს ტაძარში. ცალკეული ფრაგმენტები იორდანიაშიცაა აღმოჩენილი. ყველგან, სადაც მათი კვალი აშკარაა, ნამოსახლარები გადამწვარია (Schaeffer 1961: 231). თუმცა, ეს ეპიზოდური მომენტია, რადგან მთლიანობაში პალესტინის EB II-III პერიოდებს ახასიათებს ეკონომიკის აღმავლობა და დემოგრაფიული აფეთქება, რასაც განაპირობებდა ამ ტერიტორიაზე გამავალი მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, რომლებიც სირიას ეგვიპტესთან აკავშირებდა. ხირბეთ-კერაქის

კულტურის ძეგლები სწორედ ამ გზაზე მდებარეობდნენ (Esse 1991: 103-104). არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ კულტურის მატარებელი ხალხი აკონტროლებდა ვაჭრობას გზის გარკვეულ მონაკვეთზე. ქეფარმონაში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღის განძის ნაწილი, ქიმიური ანალიზის შედეგად კავკასიური წარმომავლობის აღმოჩნდა (Ben-Tor 1992: 113). შესაძლოა, კავკასიელი ტომები სამხრეთ პალესტინის (ვადი არაბა) და სინაის ნახევარკუნძულის სპილენძის საბადოებისკენ მიისწრაფვოდნენ, რომელთა დამუშავება ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ივარაუდება (ИДВ 1988: 204).

მტკვარ-არაქსელები ჩრდილოეთ სირიაში. მტკვარ-არაქსული შავპრიალა კერამიკა ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებში ჩნდება ჩრდილოეთ სირიაში, ევფრატის შუა წელზე – მდ. ხაბურის და მდ. ბალიხის ნაპირებზე. ძვ.წ. XXV-XXIV სს. შავპრიალა კერამიკა ადგილობრივ ადრესირიულ კერამიკასთან ერთად თანაარსებობს სირიულ ქალაქებში (ტელ-ხუერა, ჰალავა, მუმბაქათი, ტელ-ფარფარა და ტელ-ბრაკი).

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხი ორ ტალღად ნამოვიდა მალათიის რეგიონიდან (რუკა 1). ერთი ნაწილი ამუქის ველზე გავიდა ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისშივე და მდ. ორონტის გაყოლებით პალესტინამდე ჩავიდა, ხოლო მეორე – მოგვიანებით მდ. ევფრატის გაყოლებით ჩრდილოეთ სირიამდე მივიდა. ამ გზას არანაირი გეოგრაფიული ბარიერი არ ეღობება. ეს არის აღმოსავლეთ ანატოლიის ლითონის საბადოებიდან სამხრეთისაკენ მიმავალი ყველაზე ადვილი და მნიშვნელოვანი გზა. ის სირიის დაბლობებისკენ, თანამედროვე ქალაქ მარდინთან ჩადიოდა. გვიანდელ ხანაში ამ გზას სპარსეთის სამეფო გზა ეწოდებოდა (Kelly-Buccellati 1990: 120). ქალაქ მარდინთან მდებარეობს ნამოსახლარი ტელმოზანი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ცნობილი იყო, როგორც ხურიტული ქალაქი ურქიში (Fortin 1999: 170). აქ აღმოჩენილი ლითონის ნაწარმი დიდ მსგავსებას იჩენს ადრეტრანსკავკასიური კულტურის ლითონთან (Kelly-Buccellati 1990: 121, ტაბ. 28ბ). ტრანსკავკასიური შავპრიალა კერამიკა ჩნდება აქადური პერიოდის (ძვ.წ. XXIV-XXIII სს) ტელ-ბრაკში (ებლას და მარის არქივების მიხედვით ქ. ნაღარი) (Bunatz, Kune, Al Mahmud 1999 : 77; Oates 1987: 64).

ანატოლიაში ადრეტრანსკავკასიურ კულტურას ახასიათებს ერთგვაროვანი სოფლები და მცირე ქალაქები. სირიაში კი ძვ.წ. III ათასწლეულის ქალაქური კულტურის არეალში ახალმოსული ხალხის არც ერთი ნამოსახლარი არ მოხვდა (Kelly-Buccellati 1990: 120).

ებლას სამეფო და ხალხი მარდუ. ხალხი მარდუ და ტოპონიმი მარდუ ებლას არქივებში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მოიხსენიება. ქალაქებთან – ემართან, ჰარანთან და მარისთან ერთად მოიხსენიება ტოპონიმი მარდუ. ერთ-ერთ ტექსტში ლაპარაკია ქალაქზე, რომელსაც მართავს EN-ი და სადაც თაყვანს სცემენ ღმერთ I-da-kul-ს. მეორე ტექსტში მოხსენიებულია ქალაქები Luban და Mardum, რომლებსაც EN-ი მართავს (Гарелли 1985: 287). ერთ-ერთ ტექსტში (TM.75.G.1317) მოთხრობილია, თუ როგორ დაამარცხა ებლას მეფემ მარდუს ხალხი და დახოცა მათი ცხვრები (Фрондзароли 1985: 244). ტექსტი TM.76.G.524 აღწერს მარდუს ხალხის სამხედრო დამარცხებას ადგილ kur-ში, რაც მეცნიერთა აზრით მთიან სტეპებს აღნიშნავს (Фрондзароли 1985: 248). ტექსტების მიხედვით, მარდუს ხალხი ცხოვრობს როგორც ქალაქებში, ისევე მთიან სტეპებში და ეწევიან ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას. სწორედ მათი ტერიტორიებიდან მარაგდება ებლას ცენტრალური ადმინისტრაცია ცხვრით და მატყლით.

Mar-du-ს ადგილმდებარეობას ა. არკი ჯებელ-ბიშრის მთებთან მოიაზრებს, სადაც, მთიანი სტეპების მახლობლად, მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლები – ჰალავა, მუმბაქათი, თელ-ჰუერა, თელ-ფარფარა და სხვა. ამ ნამოსახლართა ფენებში (დაახლოებით ძვ.წ. XXIV ს.) აღმოჩენილია ხირბეთ-კერაქული შავპრიალა კერამიკა, რომელთა ფრაგმენტები ადრესირიულ კერამიკასთან ერთად გვხვდება (Ортманн 1985: 63). მოგვიანებით, ურის III დინასტიის პერიოდის ტექსტებში მოხსენიებული mar-tu, ან mar-du აქადურ amurru-სთან (დასავლეთსემიტი ნახევრადმომთაბარე ტომები – ამორეველები) არის ასოცირებული (Гарелли 1985: 282), რაც შუმერულ და აქადურ ენებში ზოგადად „დასავლეთის ხალხს" ნიშნავს (ИДВ 1983:284). ებლასათვის კი ტოპონიმი მარ-დუ ზოგადი დასახელება „დასავლეთის ხალხი" ვერ იქნებოდა (Гарелли 1985: 283). აქადელებისათვის და ურის III დინასტიის პერიოდის შუმერებისათვის (ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეები) ეს დასახელება საკუთარი სახელის კი არა, არამედ ზოგადად „დასავლეთე-

ლის" აღსანიშნავად იხმარებოდა. ძვ.წ. XXIV საუკუნეში მარ-დუს ხალხი ებლადან აღმოსავლეთით მდებარე ჯებელ-ბიშრის მთიან სტეპებში ცხოვრობდა.

ჩვენი აზრით, სწორედ მარდუს სახელით სირიაში მტკვარ-არაქსის (ხირბეთ-კერაქის) კულტურის ხალხი იყო ცნობილი. ამაზე მიუთითებს ზემოთ აღნიშნული იმ სირიული ნამოსახლარების ტოპოგრაფია, სადაც შავპრიალა კერამიკაა აღმოჩენილი. ის ტერიტორია, რომელიც მარდუს ხალხის განსახლების არეალს წარმოადგენდა აქადელებისათვის დასავლეთით, ებლასათვის კი აღმოსავლეთით მდებარეობს.

ამდენად, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში ებლას მეზობლად, ჰამას სიახლოვეს და ჩრდილოეთ სირიაში ცხოვრობდა ხალხი – მარ-დუ, რომლებსაც ჰქონდათ ქალაქები და სოფლები, ჰყავდათ მმართველები –EN. ისინი ებლას ამარაგებდნენ ცხვრითა და მატყლით. შესაძლოა ამ ხალხთან იყო დაკავშირებული ებლას ტექსტებში მოხსენიებული განსაკუთრებული ტიპის მახვილის სახელი mardu, რომელიც მზადდებოდა ოქროსა და ვერცხლისაგან (Арки 1985: 306). ეს იარაღი ზოგჯერ შემკული იყო ადამიანის სახიანი ხარის გამოსახულებით და მას მსხვერპლად სწირავდნენ ებლას ღმერთებს (Archi 1997: 423). ძველი მესოპოტამიელებისათვის მარ-ტუ/მარ-დუს ხალხი ასოცირებული იყო ნგრევასთან და სიკვდილთან, ამიტომაც მესოპოტამიურ პანთეონში ადგილი დაიმკვიდრა ღმერთმა მარტუმ. იგი ანგრევს ქალაქებს და ქარიშხალივით თავს ატყდება ქვეყანას. იგი წარმოადგენს ნომადური ტომების პერსონიფიკაციას, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში მიწათმოქმედ მესოპოტამიელებს დასავლეთიდან მოევლინნენ (Black, Green 1992: 129-130).

აქადურ და ურის III დინასტიის დროინდელ წყაროებში, ამურუს და მარტუს/მარდუს ზოგადი სახელით ცნობილი „დასავლეთელი" ხალხი, შესაძლოა დასავლეთსემიტური მომთაბარე ტომების – ამორეველების და სამხრეთ კავკასიური წარმომავლობის მარდუს ხალხის გაერთიანებას წარმოადგენდა (მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ხირბეთ-კერაქის კულტურის მატარებელი ხალხი ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის დასავლეთსემიტური ტომების მიერ იყო ასიმილირებული (ИДВ 1988: 211)).

როგორც ჩანს, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან კავკასიიდან მოსულმა მელითონეებმა დაკარგეს თავისი ფუნქცია, რადგან ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული დარიშხანიანი ბრინჯაოს ნაცვლად ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან მესოპოტამიასა და ანატოლიაში უფრო მსუბუქი, კალიანი ბრინჯაო შემოდის. თუმცა, ებლაში უკვე ძვ.წ. XXIV საუკუნიდან ჩნდება კალიანი ბრინჯაოს დამზადების ახალი ტექნოლოგია. ეს შენადნობი გაცილებით უფრო პროგრესული და მომგებიანია, ვიდრე ძველი წესით დამზადებული ლითონი, რადგან იგი უფრო სუფთა და მსუბუქწონიანი შენადნობია, ვიდრე დარიშხანიანი ბრინჯაო. თუ ებლაში აღმოჩენილი კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული მახვილი 159 გრამს იწონის, მალათიაში აღმოჩენილი დარიშხანიანი ბრინჯაოს მსგავსი იარაღის წონა 500 გრამამდე აღწევს (Archi 1993:617-618). შესაბამისად მსუბუქი იარაღის წარმოება უფრო რენტაბელური ხდება.

ებლას სასახლის არქივებში ხუთასზე მეტი პროფესიონალი მჭედელია მოხსენიებული (Archi 1993: 616). როგორც ჩანს, მონოპოლია ახალი ტექნოლოგიით წარმოებულ ბრინჯაოზე ხელთ იგდეს ებლას მეფეებმა. შესაძლოა, მესოპოტამიაში და სირიაში დარიშხანიანი ბრინჯაოს ჩამოტანა ამის გამო შეწყდა. ამდენად, „კავკასიელები" ასიმილირდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და შეიძინეს ახალი ნიშან-თვისებები. შესაძლოა ისინი გადაიქცნენ პროფესიონალ მეომრებად. რადგან „დასავლეთელები" ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ. ებლას და შუმერის მეფეები და ქალაქის მმართველები ძირითადად მარდუს და ამურუს ხალხს ქირაობენ მეომრებად (Кленгель 1985: 218; ИДВ 1983:292). შუმერში ეს მეომრები ანაზღაურების სახით მიწის მცირე ნაკვეთებს იღებდნენ (ИДВ 1983: 292). „დასავლეთელები" მრავლად იყვნენ სამეფო მოსამსახურეების რიცხვში. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ერთგვარ, მებრძოლთა კლასს წარმოადგენდნენ მესოპოტამიაში, მსგავსად მამლუქებისა და იანიჩრებისა შუა საუკუნეების აღმოსავლეთში. ყოფილი მტრის შემორიგებისა და თავის სამხედრო სამსახურში ჩაყენების პრაქტიკა ყოველთვის ფართოდ გამოიყენებოდა. ასეთი წამოწყება გარკვეული ქვეყნის მოქალაქეებს მეტ დროსა და საშუალებას აძლევს წარმოებასა და მიწათმოქმედებას მიჰყონ ხელი, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის გამყარებას უწყობს ხელს. „როდესაც ყველა რესურსი ამოწურუ-

ლია, რჩება უკანასკნელი საშუალება _ შეეცადო გამოიყენო ბარბაროსთა სამხედრო ღირსებები მათვე საწინააღმდეგოდ" (Тойнби 2003: 31). სახელმწიფო სამხედრო სამსახურში ჩამდგარ უცხოელ მეომარს ეძლევა კარგი შესაძლებლობა, საკუთარი ღირსებების ხარჯზე, იერარქიული კიბე აიაროს და წამყვანი თანამდებობა მიიღოს. ზოგჯერ ასეთ ქვეყანაში იქმნება უცხოელებისგან დაკომპლექტებული სამხედრო ელიტა.

ჩვენი აზრით, ეს მებრძოლი ხალხი – მარდუ სავსებით შესაძლებელია გავაიგივოთ მტკვარ-არაქსის (ხირბეთ-კერაქის), კულტურის მატარებელ ხალხთან, რადგან არქეოლოგიური მონაცემებით, ებლაში და ებლას სიახლოვეს ეს კულტურა თანააარსებობს ადგილობრივ ადრესირიულ კულტურასთან ერთად და ამ ტერიტორიაზე სხვა არქეოლოგიური კულტურა არ დასტურდება. ადრესირიული და ხირბეთ-კერაქული კერამიკა ნამოსახლარებზე ერთად ჩნდება, რაც მათ თანაცხოვრებაზე მიუთითებს. თუმცა აღსანიშნავია ისიც რომ, მაშინ როდესაც ამავე ტერიტორიაზე გავრცელებულია მხოლოდ ადრესირიული კულტურის ნამოსახლარები, ისეთი ნამოსახლარები სადაც მხოლოდ ხირბეტ-კერაქის კულტურის ნაშთებს შეიცავენ ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არაა. შესაძლოა იმიტომ, რომ ჯებელ-ბიშრის ნახევარუდაბნოში სისტემატური გათხრები ჯერ არ ჩატარებულა.

ძვ.წ. XXIII საუკუნის დასაწყისისათვის ხირბეთ-კერაქის კულტურა ქრება. როგორც ჩანს, ამ დროისათვის მარდუს ხალხის ნაწილი შეერწყა დასავლეთსემიტურ ტომებს.



● თანამედროვე ქალაქი

■ მტკვარ-არქსის (ხირბეტ კერაქის) კულტურის ძეგლები

△ სპილენძის საბადოები

ლიტერატურის სია:

კიკვიძე ი. 1976. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.

მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ. 1960. შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. I. თბილისი. გვ. (195-196)

ჯაფარიძე ო. 2006. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

Арки А. 1985. Заметки о географическом кругозоре текстов Эблы III тысячелетия до н.э. – Древняя Эбла. М. стр. 297-317.

Вебер М. 2000. Основные понятия стратификации. – Политология. М. стр. 255-272.

Вулли Л. 1961. Ур халдеев. М.

Гарелли П. 1985. Замечания по топонимике из архивов Эблы. – Древняя Эбла. М. стр. 280-296.

ИДВ 1983. История Древнего Востока.Часть первая. Под ред. И. Дьяконова. М.

ИДВ 1988. История Древнего Востока. Часть вторая. Под ред. Г. Бонгард-Левина. М.

Кленгель Х. 1985. Архивы Эблы и история Сирии. Проблемы и перспективы. – Древняя Эбла. М. стр. 206-218.

Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970. Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н.э.). Л.

Лисицына Г., Прищепенко Л. 1977. Палеоэтноботанические находки Кавказа и Ближнего Востока. М.

Лоон ван М.Н. 1985. Конец периода Ранней бронзы в Сирии: проблемы хронологии и интерпретации. – Древняя Эбла. М. стр. 52-60.

Лордкипанидзе О. 1989. Наследие Древней Грузии. Тб.

Маттиэ П. 1985. Раскопки Эблы 1964-1982 гг.: итоги и перспективы. Введение. – Древняя Эбла. М. стр.5-19.

Меллаарт Дж. 1985. Торговля и торговые пути между Северной Сирией и Анатолией (4000-1500 гг. до н.э.). – Древняя Эбла. М. стр. 20-33.

Ортманн В. 1985. Керамика Ранней и Средней бронзы на Среднем Евфрате и ее связи с керамикой Хамы и Эблы. – Древняя Эбла. М. стр.61-81.

Тойнби Дж. А. 2003. Цивилизация перед судом истории. М.

Фрондзароли П. 1985. Царское судебное решение из архивов Эблы. – Древняя Эбла. М. стр. 238-256.

Abay E. 1997. Die Keramik der Frubronzezeit in Anatolien. Munster.

Archi A. 1993. Bronze Alloys in Ebla. – Between The Rivers and over The Mountains. Roma. p. 615-625.

Archi A. 1997. Studies in the Ebla Pantheon. – Orientalia. vol.66. Roma. p. 414-425.

Ben-Tor A. 1992. The Archaeology of Ancient Israel. New Haven. London.

Black J., Green A. 1992. Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia. Austin. London.

Bunatz D., Kune H., Al Mahmud A. 1999. Atturath ah hadari liljazira assuria wama havlaha. Dalil muthaf Deir ez Zor (არაბულ ენაზე). Dimashk.

Burney C. 1993. Arslantepe as a Gatewey to the Highlands: a Note Periods VIA on – VID. – Between The Rivers and over The Mountains. Roma. p.311-317.

Esse D.L. 1991. Subsistence, Trade and Social Change in Early Bronze Age Palestine. Chicago.

Fortin M. 1999. Syrie. Terre de civilisation. Quebec.

Frangipane M. 1997. A 4th – millennium temple/palace complex at Arslantepe-Malatya. North-South relations and the formation of early state societies in the northern regions of Greater Mesopotamia. – Paleorient, vol.23/1. p.45-73.

Frangipane M. 2003. Splendore e misteri di unaomba. – Archeologia Viva. Anno XXII. № 99. Firenze. p. 32-34.

Kelly-Buccellati M. 1990. Trade in Metals in The Third Millenium Northeastern Syria and Eastern Anatolia. – Ressurrecting the Past. A Joint Tribute to Adnan Bounni. Edited by P. Matthiae, M. van Loon and H. Weiss. Istanbul. p. 117-131.

Koşay H.Z. 1951. Les Fouilles d'Alaca Höyük. – Rapport preliminaire sur les travaux en 1937-1939. Ankara.

Matthiae P. 1996. Aux origines de la Syrie. Ebla retrouvee. Paris.

Oates J. A. 1987. Note on Ubaid and Mitanni Pottery from Tell Brak. – Iraq. vol. XLIX. 1987. p. 193-198.

Schaeffer C. F. A. 1961. Les fondements pre – et protohistoriques de Syrie du neolithique ancien au bronze ancien. – Syria. Tome XXXVIII. Paris. p. 221-242.

az-Zaidi M. 2004. Mawsu'at tarikh al-hurub as-salibia. (არაბულ ენაზე) Amman.

Nino Shanshashvili,
George Narimanishvili

Identification of One Toponym Mentioned in Ebla Royal Archive

Summary

Some Documents excavated in Ebla has an important meaning for history of South Caucasus. The Kura-Araxian ceramic which was spread in 4th – 3rd millennium B.C. in South Caucasus was also discovered in Syria-Palestine where it's known as Khirbet-Kerak culture. Important remains of this culture are determined as in Tell Mardikh also in Orontes valley in Hama and sites excavates in Northern Syria: Halawa, Mumbaqat, Habuba Kabira, Tell Khuera, Tell Farfara, Tell Mozan and Tell Brak. In the middle if the 3rd millennium B.C. some notes about people Mardu appears in Ebla Royal Archives. In some documents toponym Mardu is mentioned with towns Emar, Harran and Mari. In one text there is a note about town Mar-dum/Mar-du, which is ruled by EN and people are worshiping I-da-kul. In another text towns Luban and Mardum are mentioned which are also ruled by EN. According to these texts Mardu people lived in towns as well as in mountainous steppes, they used to have semi-nomadic life as especially form their territories Ebla central administration was supplied by sheep and wool.

As A. Arki supposes Mar-dum/ Mar-du must be situated in Jebel Bishri mountainous steppes, where lot of archaeological sites exists: Halawa, Mumbaqat, Tell Huera, Tell Farfara etc. On these sites in strata dated back to 25th – 24th centuries B.C. with early Syrian materials some fragments of Khirbet Kerak black burnished ceramics had been excavated. Mar-tu or Mar-du mentioned in Ur III dynasty texts is associated with amurru (west Semitic semi-nomadic tribes) and in Sumerian and Acadian languages means „people of west". For Ebla Mar-du is a personal and not a general name, because in 24th century B.C. lived in Jebel Bishri, which is situated in the east from Ebla. So the territory populated by Mar-du people is situated in the east from Ebla and in the west from Akkad.

In our opinion we can identify Mar-du people with Kura-Araxian (Khirbet Kerak) people, because in 24th century B.C. in the south and in the east from Ebla, this culture co-exists with local Early Syrian Culture. Early Syrian and Khirbet Kerak ceramics appears together so we can suppose that these two cultures live together. It must be mentioned, that in this territory we also meet only Early Syrian sites and sites with only Khirbet Kerak remains has not been excavated yet. Maybe because there is no permanent excavations carried out in this territory yet.

In the beginning of the 23th century B.C. Khirbet Kerak culture disappears. It's seems that in this period the part of Mar-du people confluenced to west Semitic tribes.